

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №246

2021 წლის 31 მაისი

ქ. თბილისი

ელექტროენერგეტიკის სექტორში მცირე საწარმოს მაჩვენებლების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „3⁶⁰“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ელექტროენერჯის საბოლოო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი საანგარიშო კალენდარული წლის განმავლობაში მიიჩნევა ელექტროენერგეტიკის სექტორში მცირე საწარმოდ, თუ იგი წინა წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში – სამსახური) ხელთ არსებული მონაცემებით, თავისი მაჩვენებლების მიხედვით, არ წარმოადგენს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირველი ან მეორე კატეგორიის საწარმოს, არ წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას, არ არის ელექტროტრანსპორტის დამტენი პუნქტი/სადგური და ამავე დროს მიერთებულია მხოლოდ:

1. 0.4 კვ ძაბვის ქსელზე 2026 წლის 1 იანვრამდე;
2. 0.4 კვ ძაბვის ქსელზე და მისი მისაერთებელი სიმძლავრე ჯამურად არ აღემატება 500 კვტ-ს 2026 წლის 1 იანვრიდან 2027 წლის 1 იანვრამდე;
3. 0.4 კვ ძაბვის ქსელზე და მისი მისაერთებელი სიმძლავრე ჯამურად არ აღემატება 200 კვტ-ს 2027 წლის 1 იანვრიდან 2028 წლის 1 იანვრამდე;
4. 0.4 კვ ძაბვის ქსელზე და მისი მისაერთებელი სიმძლავრე ჯამურად არ აღემატება 80 კვტ-ს 2028 წლის 1 იანვრიდან 2029 წლის 1 იანვრამდე;
5. 0.4 კვ ძაბვის ქსელზე და მისი მისაერთებელი სიმძლავრე ჯამურად არ აღემატება 50 კვტ-ს 2029 წლის 1 იანვრიდან 2030 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 იანვრის დადგენილება №3 – ვებგვერდი, 12.01.2023წ.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №542 – ვებგვერდი, 29.12.2023წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №378 - ვებგვერდი, 05.11.2024წ.

მუხლი 2

ყოველი საანგარიშო წლისთვის ამ დადგენილების პირველ მუხლში მითითებული საწარმოს იდენტიფიცირების მიზნებისთვის, სამსახური ყოველი წლის არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა (გარდა ამ დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), აწვდის პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოების სიას ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატებს – ელექტროენერჯის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებს.

მუხლი 3

1. 2021 წლისთვის, 1 ივლისიდან დაწყებული პერიოდისთვის, ელექტროენერჯის სექტორში მცირე საწარმოს იდენტიფიცირების მიზნებისთვის გამოიყენება საწარმოების 2019 წლის მონაცემები.
2. სამსახურმა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების მიწოდება ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატებისთვის – ელექტროენერჯის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისთვის უნდა უზრუნველყოს ამ დადგენილების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



